

068/2



2

1968



მკვლევარ

კონკრეტული

საქართველო



საქართველოს თეატრალური საზოგადოების

# მონაგბე

№ 2 (44)

19 თბილისი 68



რედაქტორი — ეკემია ქარელიშვილი

---

**სარედაქციო კოლეგია:** დ. ანთაძე, ვ. გოძიაშვილი, ო. ევაძე,  
ნ. გურაბანიძე, დ. მჭედლიძე, ბ. ჟღენტო,  
ნ. შვანგირაძე, გ. ციციშვილი, ა. ხორავა,  
დ. ჯანელიძე.

---





# ლილი ხელოვანი

ნახმპარი საუკუნეა. რაც ქართული სა-  
მსახიობო ხელოვნების ტახტი ვერცო ანჯა-  
ფარიძეს ეკუთვნის.

რამა ისოდენ ხანგრძლივი მეუფების სა-  
იღუმლო? მხატვრული მოვლენის სიმღიერე,  
უბრალოდ ყოვლისა, დამოკიდებულია იმ  
შოქალაქობრივ მიმართებაზე, რომელიც  
დამყარდება ხელოვანსა და მის დროს შო-  
რის. ეს იმას ნიშნავს, რომ ხელოვანის მოქა-  
ლაქობრივი პოზიცია უნდა იყოს ნათელი,  
გარკვეული.

ვერიკო ანჯაფარიძე 50 წლის წინათ მო-  
ვიდა ქართულ თეატრში — მაშინ, როდესაც  
ჩვენი ქვეყნის საზოგადოებრივ ცხოვრებაში  
უმნიშვნელოვანესი, თვისობრივი ცვლილება  
მოხდა. ბრძოლის ეპოქა მოითხოვდა ნა-  
თელ მიზანს, იდეალს, რომანტიკულ აღმა-  
ფრენას და ურყევ რწმენას. ხელოვნებაც ამ-  
გვარი იყო საჭირო.

სწორედ ამ დროს თბილისის სცენაზე პირ-  
ველად გამოჩნდა ვერიკო — ნახი, პეროვანი,  
სიმღერასავით უღერადი სიტყვით და განსაც-  
ვიფრებელი ძალის რწმენით აღჭურვილი. მა-  
შინ, გიორგი ჯაბადაის მიერ დადგმულ ბრი-  
ეს „სარწმუნოებებში“, ეს იყო უნატიკული  
რწმენის ეგვიპტელი ქალწული იაუმა. რომე-  
ლიც თავისი ხალხის კეთილდღეობას შეგნე-  
ბულად, სინაურული სწირავდა თავს.

მას შემდეგ ვერიკოს გმირები — ივლითი,  
მარგარიტა, გინატრე, ანო, მაყვალა, ჯავარა,  
კლეოპატრა, ბეზია, დედა, მედეა — ვინ მო-  
სთვლის რამდენი ეროვნების, ასაკის, დროის-  
სა და ბუნების ქალი, ყველა ნათელი იდეა-  
ლის რწმენით ცოცხლობდა სცენაზე, იბრძო-  
და მათთვის და ამ რწმენას ეწირებოდა. რწმე-  
ნის ძალით გასხივებული იყო ეს სიკვდილი  
იყო მათი გამარჯვება.

ვერიკო ანჯაფარიძის ხელოვნება თავისი  
ბუნებით გამარჯვებული რწმენის ხელოვნე-  
ბაა. ამგვარ ხელოვნებას სინარული მოაქვს  
მაყურებლისათვის, რადგან მასაც რწმენით  
აღაყვებს, სულიერ ძალას მატებს. ამაშია ვე-  
რიკო ანჯაფარიძის ხელოვნების დიდი ძალის  
უპირველესი საიდუმლო.

ნათელ იდეალს, ჰუმანიტარ რწმენას, მეგრ-  
ძოლ სულიერ ენერჯის თავისთავადაც ზემო-  
ქმედების დიდი ძალა აქვს. ვერიკო ანჯაფარი-  
ძის ეს სულიერი ძალა კი, გარდა ამისა, ცნო-  
ბიერების იშვიათ ფორმაშიც ვლინდება —  
ხელოვნებაში.

როდესაც ვერიკოს სცენაზე ხედავ, ის გი-  
ტაცებს თავისი გმირის სიცოცხლით, ამ  
მშფოთვარე სიცოცხლის მონაწილედ გხდის.  
უჩვეულო სულიერი მღელვარებით გაყვებს

და განიჭებს იმ განსაკუთრებულ სიაშოვნე-  
ბას, რომელსაც სულიერი აღმაფრენა, ესთე-  
ტიკური ტკიბობა ეწოდება.

მისი გმირის ღრმა წამლეკავი ემოციებით  
შეშფოთებულებს, აღელვებულებს, ცრემლი-  
ანებს იმ წუთებში აღარ გვესმის, რომ ვიყო-  
ფებით არა მარტო დიდი გრძნობების ტიპი-  
ზალი, არამედ დიდოსტატი ხელოვანის  
ტყეობაში.

სპექტაკლის მსვლელობის დროს ჩვენ ვერ  
ვაცნობიერებთ, რომ ვერიკო ანჯაფარიძის  
სცენური სიცოცხლის უნაკლო წუთი დიდი  
ხელოვანის ნახვალაია: ყოველი სიტყვა —  
უღერადი, ფერადი, მოძრაობა — მხატვრის  
მონახაზის ტოლფასი.

ვერიკო ანჯაფარიძის მხატვრული სიცო-  
ცხლის ყველა წუთი ხელოვნებაა. ეს წუთები  
ტილოზე რომ იყოს აღბეჭდილი, ამ გამოფე-  
ნას ვერა დარბაზი ვერ დაიტევდა.

მამასადამე, ვერიკო ანჯაფარიძის დადები-  
თი იდეალისათვის მებრძოლი სული ჰუმანიტა-  
რი ხელოვნების სახით იღვრება. ამაშია მისი  
შემოქმედების დიდი ძალის მეორე საი-  
ღუმლო. ასეთია საერთოდ ყველა დიდი ხე-  
ლოვნების საიდუმლო. ამიტომ ამ მხრივ ვე-  
რიკო ანჯაფარიძე გამოაჯაღლის არ წარმოად-  
გენს. გამოხატვისი სხვაშია.

(ენობლია, რომ ყველა სხვა ხელოვანისა-  
გან განსხვავებით, მსახიობი მხატვრულ ნა-  
წარმოებს საკუთარი პიროვნებისაგან ქმნის.  
ამიტომაც აქვს ასეთი მნიშვნელობა მის პი-  
როვნულ — გარეგნულსა და შინაგან მონა-  
ცემებს, თვისებებს, ასაკს... განსაკუთრებით  
მათთვის, ვინც თავისი შემოქმედებით მეგრ-  
ძოლია, სულით ძლიერი, აქტიური. ამგვარ  
ხელოვანს განსაკუთრებით სჭირდება ახალ-  
გაზრდობა.

ახალგაზრდა ხარ მაშინ, როდესაც გაქვს  
სურვილები, როდესაც გიყვარს, გძულს, მო-  
ითხოვ, შფოთავ, იბრძვი, გჯერა, გწამს... თუ  
ეს ასეა, მაშინ ვერიკო დღესაც ახალგაზრდა.  
მისი უდიდესი სულიერი სამყარო ახლაც სავ-  
სეა სურვილებით, სიყვარულით. შეუძლია  
ბრძოლა მედგარი და უსათუოდ ცეცხლის ხაზ-  
ზე, იმიტომ რომ სწამს თავისი სიმაართე...  
ასეთია ის დღესაც — შვიდჯერ ათი წლის ვინ  
ამოხსნის ამ საიდუმლოს?

ვერიკო ანჯაფარიძის ხელოვნება დღესაც  
იგივეს გვაკვლავს ქართული სცენის ამაღ-  
ლებიდან — არ ღირს სიცოცხლით, თუ სასი-  
კეთოდ არ მოსულხარ ამ ქვეყანაზე, თუ არ  
გიყვარს ადამიანი, თუ არ გაქვს რწმენა.

ნათელა ურუშაძე





# საქართველოს თეატრალური საზოგადოებისაგან

## ჩვენო ძვირფასო ვერიკო!

საქართველოს თეატრალური საზოგადოების პრეზიდიუმი მოგესალმებათ თქვენ, ქართული საბჭოთა თეატრის ერთ-ერთ ფუძემდებელს, საყოველთაოდ აღიარებულ ხელოვნანს, ჩვენი ქვეყნის საამაყო მსახიობს, თქვენი სასცენო მოღვაწეობის ორმოცდაათი წლის-თავზე.

თქვენ ქართულ სასცენო ხელოვნებაში განსაკუთრებული ადგილი გიჭირავთ. თქვენს თამაშში მაყურებელს აოცებს პლასტიკური ჟესტი და ვირტუოზული ტექნიკა, თავისებური, მიუღწეველი მეტყველება და ცეცხლოვანი ტემპერამენტი. შეამბოხე სულის მსახიობს არ გიყვართ შემოქმედებაში მოღუწება, უფერულობა.

თქვენს მიერ განსახიერებულ როლებში ძნელია მოიძებნოს ისეთი სახე, სადაც თქვენ არ ჩაწვდომოდით მის სულს, არ გეპოვათ ყოველი მათგანისათვის საინტერესო სცენური გამოსახულება. ერთნაირი მხატვრული ძალით ჰქმნით როგორც ტრაგიკულ, ისე სახასიათო როლებს, სადაც თითოეული მათგანი ქალთა გრძნობების მთელი გამაა.

ვინ დაივიწყებს თქვენს მიერ განსახიერებულ რომანტიკული ხილვის შედეგს ივლითს, განებივრებულ კლუბატრას, ტრაგიკული ბედით აღჭურვილ მარგარიტა გოტიეს,

პატრიოტ ქალ ჯავარას, ან სიყვარულის მსხვერპლს მაყვალას, ყველა ამათთვის თქვენ გაქვთ ძლიერი გულისთქმა, პათოსი და შესრულების ძარღვიანობა.

თქვენმა ქალებმა იციან ნამდვილი, თავგანწირული, მგზნებარე სიყვარული.

ტრაგიკული როლების განსახიერების დიდი ოსტატისათვის თითქო უცხო უნდა იყოს კომედიური ქანრი, მაგრამ თქვენ პოულობთ სრულიად უბრალო, მაგრამ ღრმა რეალისტურ ტონებს სახასიათო როლების შესაქმნელად.

თქვენ ფლობთ სცენური სილამაზის საიდუმლოებას. იცით, რომ მსახიობის მიერ განხორციელებული მოქმედი პირის სილამაზე დამოკიდებულია ამ გმირის სულიერი სამყაროს გახსნის ცოდნაზე.

მადლობა თქვენ, ამ მაღალი პროფესიონალიზმისათვის.

მადლობა იმ სიხარულისათვის, რომელიც მრავალჯერ მიგინიჭებიათ მაყურებლისათვის.

იცოცხლეთ ჩვენი ხალხის სასიხარულოდ და საამაყოდ. გისურვებთ კვლავაც მრავალჯერ ყოფილიყოს დადაფნული თქვენი იმეათი ტალანტი.

საქართველოს თეატრალური საზოგადოების პრეზიდიუმი.

# ქ ა რ თ ვ ე ლ ი მ ნ ე რ ლ ე ბ ი ს ა გ ა ნ

ჩვენო ძვირფასო და საყვარელო ვერიკო! თქვენი მეგობარი ქართველი მწერლები გულმხურვალედ გილოცავთ დიდებულსა და სახელოვან იუბილეს!

ამ საზეიმო დღეს მიელს თქვენს ცხოვრებასა და შემოქმედებას შარავანდედათ ადგას ქართული თეატრის შუქნათელი. თქვენი დღესასწაული ქართული თეატრის დღესასწაულია. თქვენი იუბილე სილამაზისა და სიხარვისა, სიცოცხლისა და სიჭაბუქის იუბილეა.

სწორედ ამიტომ ქართველი ხალხი თქვენთან ერთად ზეიმობს ამ დღეს, ქართველი მსახიობის დღეს, ვერიკოს დღეს.

ორმოცდაათი წელია, რაც ქართულ სცენაზე განუმეორებელი და თვალისმომჭრელი ფერადონებით ბრწყინვალეებს თქვენი მადლიანი ნიჭი. თქვენი ნათელი დიდოსტატობითაც მალღუწებოდა ქართული თეატრის ჭერი, თქვენი მორთოვარე ხმისა და დიდი არტისტული სუნთქვის მეშვეობით იხდებოდა ეროვნული თეატრის ფარდა ქართულ სცენაზე.

საყვარელო ვერიკო! თქვენ ყოველთვის იყავით ქართული მწერლობის დიდი მეგობარი, მისი საუკეთესო ნიმუშების შესანიშნავი აპოკალირიზატორი.

მხოლოდ და მხოლოდ მაღალის ნიჭიერებით, კეთილშობილებით, მამულიშვილობითა და კდემამოსილებით დაიპყრით თქვენი თავგანისმცემელი ქართველი მწერლების გული. თქვენა ხართ მუშა არაერთი ქართველი მგონისა! ამიტომ გავიძახით ასე ერთხმად.

ვერიკო ქართული სცენის ნესტანია, მისი სიყვარულია, მისი მშვენება, მისი პოეზია და უკვდავება!

იცოცხლეთ და იკამყაშეთ ქართველი ხალხის გულგასახარად ჩვენი სახელოვანო დაო, ჩვენი ერთგულო მეგობარო!

საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობა.

## უკრაინის თეატრალური საზოგადოებისაგან

ძვირფასო ვერა ივლიანეს ასულო!  
უკრაინის თეატრალური საზოგადოება გილოცავთ უმშვენიერეს თარიღს. თქვენ ნახევარი საუკუნე უსწირეთ საბჭოთა თეატრის წინსვლის საქმეს. ამ ხნის განმავლობაში შექმენით მთელი რიგი დაუფიქვარი სახეებისა, რომლებმაც გაამდიდრეს მსოფლიო თეატრის საგანძური, თქვენი სახელი კარგადაა ცნობილი არა მარტო ჩვენში, არამედ მის ფარგლებს გარეშე. თქვენის მეოხებით აღიზარდა სცენის ოსტატთა რამდენიმე თაობა. თქვე-

ნი ხელოვნება არის გმირობა, რომელიც საყოველთაო აღფრთოვანებას იწვევს. მიიღეთ ჩვენი გულწრფელი სურვილები — მრავალწლიანი იტაცებით მრავალეროვნული საბჭოთა თეატრის საკეთილდღეოდ.

ხაი კვიტინი ვ ვიკას ნეპორუშნა დრუჟბა გრუზინსკოვო ტა უკრაინსკოვი ნაროდოვ.

უკრაინის თეატრალური  
საზოგადოების პრეზიდიუმი.

## აზერბაიჯანის თეატრალური საზოგადოებისაგან

ისეთი დიდი მსახიობის, ადამიანისა და მოქალაქის იუბილე, როგორც ვერაიკო ანჯაფარიძეა, არ არის მხოლოდ ქართველი ხალხის ზეიმი. ეს მთელი საბჭოთა ხალხის და, მათს შორის, აზერბაიჯანელთა დღესასწაულიცაა.

ამიტომაც ამ ზეიმს სულითა და გულით ეულოცავთ არა მხოლოდ იუბილარს, შესანიშნავ ქალს, ჩინებულ ადამიანს, უბრწყინვალეს მსახიობსა და ახალგაზრდობის ნაცად აღმზრდელს, არამედ მთელ ქართველ ხალხს, საქართველოს თეატრალურ საზოგადოებრიობას.

ძვირფასო ვერაიკო!  
თქვენ, როგორც მარჯანიშვილისეული რომანტიკული თეატრის წარმომადგენელი, დაუფლებული ხართ მარადიული განახლების ხელოვნებას. თქვენ მოუსვენარი და მებრძოლი ადამიანი ხართ. ამიტომაც არასოდეს კმაყოფილდებით მიღწეულით. მუდამ ეძიებთ, მუდამ ცდილობთ აღმოაჩინოთ აქტიური ხელოვნების ახალი სამანები.

მადლიერი მაყურებელი ვერასოდეს დაბ-

ვიწყებს თქვენს მიერ შექმნილ უბაღლო სახეებს. უკომპრომისობა ცხოვრებასა და ხელოვნებაში — აი, რა არის მთავარი თქვენთვის. თქვენი ნატურის ადამიანი ვერ შექმნიდა უფერულ ხელოვნებას, ამიტომაც რასაც არ უნდა შეეხთ, ყველაფერს თქვენი მდიდარი ინდივიდუალობისა და მომაჯადოებელი არტისტიზმის ბეჭედი ახის.

ვერაიკო ხანუმ! თქვენ შექმენით დაუვიწყარი სახე რუსი დედისა, ასევე უბრწყინვალესი იყო თქვენს მიერ შექმნილი ქართველი დედა, მაგრამ არც ერთ ამთავანს არ ჩამოუვარდებოდა აზერბაიჯანელი დედა, რომლის როლიც შეასრულეთ ფილმში „შეიძლება თუ არა ეპატოსი?“.

აზერბაიჯანის თეატრალური საზოგადოების პრეზიდიუმის სახელით გილოცავთ შემოქმედებითი მოღვაწეობის 50 წლისთავს, გისურვებთ ჯანმრთელობას, ხანგრძლივ სიცოცხლეს.

აზერბაიჯანის თეატრალური  
საზოგადოების თავმჯდომარე  
მ. მბრღანოვი

## ბელორუსიის თეატრალური საზოგადოებისაგან

ბელორუსიის თეატრალური საზოგადოების პრეზიდიუმი მხურვალედ გილოცავთ შემოქმედებითი მოღვაწეობის 50 წლისთავს.

გისურვებთ ჯანმრთელობას, შემოქმედებით წარმატებებს.

ბელორუსიის თეატრალური  
საზოგადოების პრეზიდიუმი

## კრიველი მემოზრებისაგან

თქვენი შემოქმედების დღესასწაულს დღეს რიგის თეატრალური საზოგადოებრიობა გიგზავნით მხურვალედ, მეგობრულ სალამს. რიგებებს არ დავიწყებთ თქვენი შთაგონებული თამაში და ხელოვნებისადმი ვნებიანა

სიყვარული. გისურვებთ მუდამ ასეთი დარჩენილიყო.

ლატვიის თეატრალური საზოგადოების  
თავმჯდომარე, სსრკ სახალხო არტისტი

ლილია ფრეიზანი





## სომხეთის თეატრალური საზოგადოებინსაგან

ძვირფასო ვერიკო ივლიანეს ასულო! სომხეთის თეატრალური საზოგადოების პრეზიდიუმში მთელი სულითა და გულით გილოცავთ დიდებულ იუბილეს — შემოქმედებითი და საზოგადოებრივი მოღვაწეობის 50 წლისთავს.

თქვენი ძლიერი ტალანტის სახელი უკვე დიდი ხანია გასცდა არა მარტო საქართველოს, არამედ მთელი საბჭოთა კავშირის საზღვრებს.

თქვენს მიერ შექმნილი სცენური სახეები მუდამ ცოცხლობენ მრავალმილიონიანი მაცურებლის გულში. თქვენი აიშე, მაყვალა, ზეინაბი, კლეოპატრა, მარგარიტა გოტიე, მარამ სტიუარტი და მედეა მრავალეროვანი საბჭოთა თეატრის მღელვარე მწვერვალებია.

თქვენი ხელოვნება მარად იცოცხლებს მრავალი თაობის გულში როგორც მალაღ

ინტელექტის, უწმინდესი მორალისა და ღრმა ადამიანური განცდების ხელოვნება.

სომეხი მაცურებელი ვერასოდეს დავიწყებს თქვენს მიერ შექმნილ ბეზას.

თქვენი ხელოვნების მეოხებით გახდით ჩვენი დროის უმშარტად ტრაგიკული პათოსის მსახიობი, ბრძენი ქართველი ხალხის კეთილშობილური ფიქრების გამომხატველი.

დაე მარად ენთოს ადამიანთა გულეზში თქვენი ხელოვნების მგზნებარე ცეცხლი.

ძვირფასო იუბილარო!

კიდევ და კიდევ გილოცავთ დიდებულ იუბილეს, გისურვებთ ჯანმრთელობას, მრავალი წლის სიცოცხლესა და ახალ შემოქმედებით წარმატებებს.

სომხეთის თეატრალური საზოგადოების პრეზიდიუმი

## რუსთაველის თეატრისაგან

ძვირფასო ქალბატონო ვერიკო!

რუსთაველის თეატრი სიხარულით ესალმება ქართული სასცენო ხელოვნების დღესასწაულს — თქვენი ნახევარსაუკუნოვანი შემოქმედების ზეიმს.

მსოფლიოს არც ერთ თეატრში არ გვეგულდება დასი, რომელსაც თქვენ არ აკლდეთ და არ ენატრებოდეთ. რუსთაველის თეატრს, რომელიც ოდითგან ისწრაფვოდა მასშტაბური, გმირული შემართების, უმშარტო აღმა

ფრენით სავსე ხელოვნებისაკენ — აკლდით განსაკუთრებით.

მამოსადაზე. განსაკუთრებით სანატრელიც იყავით.

ახლა, როდესაც თქვენი მოპოვების იმედი აღარა გვაქვს, იმის უფლებას მაინც ვიტოვებთ, რომ საქვეყნოდ გაღიაროთ ჩვენი თეატრის განუხორციელებელ ოცნებად.

რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური თეატრი

## თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისაგან

დიდად პატივცემილო ქალბატონო ვერიკო!

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი გულმხურვალედ გილოცავთ სახელოვანი შემოქმედებითი მოღვაწეობის 50 წლისთავს.

თეატრალურ სარბილზე თქვენი პირველი ახალგაზრდული ნაბიჯების გადადგმა ქრონოლოგიურად ჩვენი უნივერსიტეტის დაარსების წელთან არის დაკავშირებული. მას შემდეგ ნახევარი საუკუნე გავიდა, დაუცხრომელი შემოქმედებითი ძიების, თავდადებული შრომისა და ბრძოლის ნახევარი საუკუნე, და ვინ მოთვლის, ამ ხნის განმავლობაში რამდენჯერ აცრემლებულხართ თქვენს მიერ სცენაზე ქართულად ამტყვებული გმირის ხეღვრით გულდაკოდილი ან რამდენჯერ ავიცრემლებითა მაცურებელი! თქვენს მიერ სცენასა

თუ ეკრანზე განსახიერებელი გმირები მარად უკვდავნი არიან იმიტომ, რომ მათ თქვენ შთაბერეთ ადამიანური სული, ამ კლასიკური სახეების გამოძევწვას დაუზოგავად მოახმარეთ თქვენი დაუშრეტელი ენერჯია და უნარი.

ძვირფასო ვერიკო, დაე, ჩვენს ქართულ საბჭოთა ხელოვნებას, ჩვენს ახალგაზრდობას მუდამ შთავაგონებდეთ ხელოვნების უწმინდეს სიყვარულს, მის უანგარო, თავდადებულ სამსახურს. დიდხანს, დიდხანს იცოცხლეთ, ჩვენი თეატრის მშვენიედა!

ხელს აწერენ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე

ი. ვიკუა და

სამეცნიერო საბჭოს წევრები.



# მარჯანიშვილის თეატრისათვის

დიდი პატივია ჩემთვის, თქვენი მშობლიური თეატრის მთელი კოლექტივის სახელით წარმოვსდგე თქვენს წინაშე და ვადმოვცეთ გულწრფელი მადლობა, რომ პატივისცემა და უსასწორლო აღტაცება იმ დიდი ღვაწლისათვის, რომელიც თქვენ მიგიძღვიეთ ჩვენს თეატრში მისი დაბადებიდან დღევანდელ დღემდე.

40 წლის მარჯანიშვილის თეატრი, რომლის ერთ-ერთი სულისჩამდგმელი თქვენ ბრძანდებით, პირადად ახალი საბჭოთა საქართველოსი იგი თავისი შემოქმედებით მხარში ედგა და იყო მუდმივი და განუყრელი თანამგზავრი იმ სიახლეებისა, რაც კი განახლებულ საბჭოთა საქართველოში კეთდებოდა და კეთდება დღემდე.

რამდენი ახალი სახე, ახალი ადამიანები, სულით მაღალნი და გულით მდიდარნი დაბადებულან ჩვენს სცენაზე. ამ 40 წლის განმავლობაში შეიქმნა ბრწყინვალე სახეები: ქართველი რევოლუციონერები, ხუთწოდის გმირები, ჩვენი ქაჩხაბების ლურჯალადაიანები, ჩვენი სოფლის კოლმეურნე გლეხობა, გმირი ქალები, გმირი ვაჟკაცები, წითელი არმიის ფარაჯაში გამოწყობილნი.

მარჯანიშვილის თეატრი ერთი პიონერთაგანია ეროვნული საბჭოთა დრამატურგიის დაბადებისა და განმტკიცების დიდ საქმეში.

რუსული საბჭოთა დრამატურგიის კლასიკური ნიმუშები ფართო სარბიელს ჰპოვებდა

ჩვენი თეატრის სცენაზე. არა ერთხელ გაბრწყინებულა მსოფლიო კლასიკა ჩვენს თეატრში და ამ დიდ პასუხსაგებ ეროვნულ საქმიანობაში თქვენ, ქ-ნო ვერიკო, ყოველთვის აქტიური და წინა რიგებში მდგამი მებრძოლი ბრძანდებოდით.

ჩვენ, ქართველი საბჭოთა მსახიობები, ვაძაყობთ თქვენით, ვინადაც თქვენ, თქვენი მაღალნიჭიერებით ვააგრძელებთ სია ჩვენი დიდებითმოსილი ქართველი მსახიობებისა.

მარჯანიშვილის თეატრი დიდად დავალებულია თქვენი მაღალი აქტიორული შემოქმედებითი მიღწევებით. — ჩვენს სცენაზე მრავალი მაღალმხატვრული, ბრწყინვალე სახე აღბეჭდილა. ტყუილად არ შერჩა ჩვენს თეატრს სახელი — „აქტიორული ტრადიციის თეატრისა“. და მე მინდა ამ ზეიმის წუთებში, ქ-ნო ვერიკო, არ გეწყინოთ, მოვგაგონოთ: პატარა ვალსო თქვენი ბრძანდებით: ჩვენმა თეატრმა დაგიბოძა სცენა საასპარეზოდ, სადაც დაჭირითობდნენ და დანაჯარობდნენ თქვენი მაღალნიჭიერებით გამოსახული გმირი ქალები. — არა, ხარკს არ გთხოვთ, ვალს არ გდებთ, არა. მაგრამ სამართლიანად მოითხოვს მარჯანიშვილის თეატრს ჰქონდეს თქვენიდამი პატარა პრეტენზიები.

ჩვენი პრეტენზიებია ვისურვოთ:

1. სრული განმრთელობა,
  2. დიდხანს სიცოცხლე და, რაც მთავარია, კვლავ ნაყოფიერი შემოქმედება.
- იდლებრძელებთ ჩვენი საყვარელო, ზოგთათვის დაო ზოგთათვის დედაო!

<sup>1</sup> მარჯანიშვილის თეატრის სახელით იუბილარს მიესალმა ვასო გომიანიშვილი.



ღრმად პატივცემულო და ძვირფასო ვერიკო!

მთელი სულითა და გულით გილოცავთ ამ ღირსშესანიშნავ თარიღს. თქვენ მრავალი ბედნიერი საათი განაცდევინეთ და კვლავაც ანცდევინებთ მათ, ვისაც საშუალება ჰქონდა ენახეთ სცენაზე. თქვენ უბრწყინვალესი და გამორჩენილი მსახიობი ხართ საბჭოთა თეატრისა, მაგრამ მიუხედავად ამისა, კინოშიც არაერთი და ორი ჩინებული სახე შექმენია.

ძვირფასო ვერიკო, ვისურვებთ ჯანმრთელობას, ახალ შემოქმედებით სიხარულს და კარგ განწყობილებას.

მცირე თეატრის საგასტროლოდ გამგზავრება ხელს მიშლის პირადად მოვილოცოთ ეს იუბილე.

გაბრიელ სუნდუკიანის სახელობის თეატრის კოლექტივი მთელი სულითა და გულით მიესალმება თქვენი სასცენო მოღვაწეობის 50 წლისთავს და ვისურვებთ ხანგრძლივ სიცოცხლეს ჩვენზე ხელოვნების საკეთილდღეოდ. თქვენა ხართ სცენის იმ ერთ-ერთი გიგანტაგანი, რომელთა შემოქმედებაც სცილდება ეროვნულობის ფარგლებს და საერთო მონაპოვრად იქცევა. სომეხ მაყურებელს უყვარხართ თქვენ და სწაღია გამუდმებით ეზიაროს თქვენს ხელოვნებას. ჭეშმარიტი მსახიობი მუდამ ფასდაუდებელი განძია. რამდენი წლისაც არ უნდა იყოს იგი. თქვენა ხართ მაგალითი ტალანტის მარადიული სიჭაბუქისა, ხელოვნებისადმი გულწრფელი სამსახურისა. გილოცით და ველოთ თქვენთან შეხვედრას ჩვენს სცენაზე.

მიხეილ ცარიოვი

აჭემიანი, ფაფაზიანი, გულაზიანი, ჯანიბეკიანი, ჟანბენი, ავეტისიანი.



# ქართული სხანის სიახავე

დიდი მსახიობი ქალის დიდებული იუბილეს საღმრთო საწაფლო თარიღია არა მარტო ქართული თეატრალური კულტურისა, ეს არის ზეიმი უკრაინელი და, საერთოდ, სამკურთხელო თეატრალური ხელოვნების. მადალანკერი თავის საქართველოს უმშვენიერეს ტრანსპარენტს, შესანიშნავი მსახიობის, ჩემი მშობლიური უკრაინის ერთგული მეგობრის, მგზნებარე საბჭოთა პატრიოტის, კეთილი, ბრძენი, მომხიბლავი ქალის წინაშე. საუკუნოდ მისი მადლიერი, საუკუნოდ მასზე შეყვარებული

## მიკოლა ბაუანი

ღრმად პატივცემული ვერცხო! მართალია, დავგავნებთ, მაგრამ გულწრფელად გილოცავთ შესანიშნავ შემოქმედებით იუბილეს. თქვენს მიერ სცენაზე შექმნილი სახეები არა მარტო ქართული კულტურის შემადგენელი ნაწილია, ქართველი ხალხის სისხლად და ხორცად იქცა, ხალხისა, რომელმაც მოგვცა გენიალური შემოქმედნი, თქვენს, მიერ შექმნილი სახეები ახარებდნენ და დღესაც ახარებენ უთვალავ ადამიანთა გულსა და გონებას. თქვენ ბედნიერებას ანიჭებთ ადამიანებს, რომლებიც დიდი საბჭოთა კავშირის სხვადასხვა ქალაქების თეატრებში ნახავდნენ თქვენს მიერ შესრულებულ როლებს.

საქართველოსა და ლატვიას, თბილისსა და რიგვან შორის მრავალი კილომეტრი ძეგს, მაგრამ ჩვენ გვაკავშირებს მეგობრობის ჰავაერი, გვათბობს თქვენი დიდი ხელოვნების მზე.

დაე გაფრინდნენ წლები, ისინი ახალ შემოქმედებით სიხარულს მოგიტანენ თქვენ. ღრმა პატივისცემით

## ლატვიის სახალხო მწერალი იან სულრაბაკანი

ძვირფასო ვერცხო! თქვენ უბრალოდ კარგი, შესანიშნავი მსახიობი კი არა, ჩვენი ეპოქის ნამდვილად უდიდესი მსახიობი ხართ. ამას ვამბობ მთელი პასუხისმგებლობის გრძნობით. თქვენ საამაყო ხართ არა მხოლოდ მშობლიური საქართველოსთვის, არამედ მთელი საბჭოთა კავშირისათვის. იყავით ბედნიერი მრავალ, მრავალ წელს. დიდება თქვენ — შემოქმედლა და ადამიანს.

## თქვენი ზავადკი

მხურვალედ ვულოცავ დიდ მსახიობს, ჩემი აზრით მსოფლიოს ერთ-ერთ საუკეთესო ადამიანს, ერთგულ მეგობარს ვერცხოს თავის იუბილეს. მეამაყება, რომ თქვენთან ერთად ვმუშაობდი. გისურვებთ, ბედნიერებას, ჭანმრთელობას, შემოქმედებით სიხარულს.

## სერგეი იუტკევიჩი

არის სახელები, რომელთა გარეშეც წარმოუდგენელია ქართული სცენა. ასეთ სახელთა რიცხვს მიეკუთვნება სსრ კავშირის სახალხო არტისტის, სახელმწიფო პრემიის ლაურეატის ვერცხო ანკაფარიძის სახელი. იგი ერთ-ერთი უდიდესებია ქართული საბჭოთა თეატრსა და აი უკვე ნახვარია საუკუნეა რწმენითა და სომარბლით ემსახურება მას.

თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის აკადემიურმა თეატრმა, სადაც საქართველოს სსრ კულტურის სამინისტრომ, საქართველოს თეატრალურმა საზოგადოებამ და კ. მარჯანიშვილის სახელობის აკადემიურმა თეატრმა მ იწინის საიუბილეო საღამო მოწყვეს, ვერ დაიტია ვ. ანკაფარიძის ბრწყინვალე ნიჭის ყველა პატივისცემული.

საღამო შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს სსრ კულტურის მინისტრმა ი. თაქთაქიშვილმა. საქართველოს კომპარტის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სახელით იგი მიესალმნა იუბილარს, უსურვა დიდხანს სიცოცხლედ და ახალი შემოქმედებითი წარმატებანი.

შესვენებაში მსახიობის ცხოვრებისა და შემოქმედების შესახებ კრიტიკოსმა ვ. ურენდამ ილაპარაკა იმ პუბლიკაში, რომლითაც სარგებლობს ვ. ანკაფარიძე არა მარტო ჩვენს ქვეყანაში, არამედ საზღვარგარეთაც ანკაფარიძისათვის. თუკა მოხსენებებშიც, ცოტა ვინმეს თუ შეუღლია ჩასწვდეს ადამიანის სულის საიდუმლოებას, გადვიძოს მასში ყოველივე საუკეთესო, ღრმად ჩააფიქროს მოვლენებში. მისი გმირები, როგორც წესი, ამაყნი და დიდებულინი არიან, მაგრამ ამასთან შერწყმულია გულითაღობა, მომხიბვლელიობა.

და აი სცენაზე ვერცხო — მარგარიტა ვოტენ, სწორედ მასზე თქვენ ვ. ნემიროვიჩ-დანჩენკომ: „ძვირფასო ეტრის, ორი-სამი ასე უსწარმოდებელი როლისათვის მე ეკრძალ დაუწყებამი მსახიობს“.

ვერცხო ანკაფარიძემ ხელოუქმნელი ძეგლი დაიდგა მსხი დიდი ხელოვნებით მოხიბლულ ათასობით ადამიანის გულში.

ამაზე ილაპარაკეს საღამოზე ხელოვნებაშიცოცდნენ. ურუშაძემ, საქართველოს თეატრალური საზოგადოების თავმჯდომარემ, რესპუბლიკის სახალხო არტისტმა დ. ანთაძემ, ლენინგრადელმა ხელოვნებაშიცოცდნენ რ. ბენიშვილმა, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიოსმა ვ. ახვლედიანმა, საქართველოს კომპოზიტორთა კავშირის გამგეობის მდივანმა ვ. ტორაძემ, რესპუბლიკის სახალხო არტისტმა ე. აფხაძემ, საქართველოს მსახტვართა კავშირის გამგეობის მდივანმა, რესპუბლიკის სახალხო მსატვარმა დ. თაქაძემ, თბილისის შოთა რუსთაველის სახელობის თეატრალური ინსტიტუტის დოცენტმა მ. მრგვალიშვილმა, საქართველოს სახალხო არტისტმა დ. სლავინმა, საქართველოს სსრ დამსახურებულმა არტისტმა ი. ზღომინმა, საქართველოს კინემატოგრაფისტთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარემ, სსრ კავშირის სახალხო არტისტმა ს. დოლოძემ, საქართველოს სსრ სახალხო არტისტმა ს. ბაღაშვილმა, სსრ კავშირის სახალხო არტისტმა ა. ვსაქემ და სხვებმა.

სომხეთისა და აზერბაიჯანის თეატრალური საზოგადოებრიობის სახელით იუბილარს მიესალმნენ სსრ კავშირის სახალხო არტისტმა ვ. აჭეიანიძე და აზერბაიჯანის სსრ სახალხო არტისტმა მ. მარღანოვი

იუბილარს გულთბილად მიესალმნენ გემპოქორის რაიონის წარმომადგენლები, სადაც ვერცხო ვაჩუარდა და მისი მშობლიური თეატრის — მარჯანიშვილის სახელობის თეატრის მსახიობები.

საიუბილეო საღამოს დაესწრნენ ვ. პ. მყვანაძე, პ. ა. როლინოვი, დ. გ. სტურუა, ა. ი. ფრუიძე, გ. ი. ჩოკვაძე, შ. ი. ჭანუყვაძე, გ. დ. ჭავჭავაძე, მ. ი. კუჭავა, შ. დ. კიენაძე, ი. ი. ლოლაშვილი.



## ახალგაზრდული თიანეთის ნარკოზაფხუმი

ერთი წლის ისტორიაც არა აქვს რუსთავის დრამატულ თეატრს, მაგრამ თეატრმა უკვე მოიპოვა ფართო პოპულარობა და მყარებულს სთვარსობს. უპირატესობა შემოხვევა, როცა რუსთავის სპექტაკლების სანახავად მყოფრებული თბილისიდან მიემგზავრება ხოლმე. ეს უკვე ცხადად მოწმობს თეატრისადმი ინტერესს. ამ ინტერესის კიდერეთი დადასტურება იყო რუსთავის თეატრის გასტროლები თბილისში, როცა რუსთაველთა სპექტაკლები მუდამ ხალხმრავლდარბაზში ტარდებოდა.

რუსთაველბმა თბილისში სავასტროლოდ ჩამოიტანეს ედ. როსტანის „სირანო დე ბერვერაკი“, ე. კარასტალოვის „ასი წლის შემდეგ“ და თ. იოსელიანის „მოკალოებული მწვერვალი“.

გასტროლების დამაოვრების შემდეგ, 15 აბრალს საქართველოს თეატრალურმა საზოგადოებამ ხელოვნების მუშათა საბჭოში მოაწყო სავასტროლო სპექტაკლების განხილვა.

განილვა შესავალი სიტყვით განხს თეატრალური საზოგადოების გამგეობის თავმჯდომარემ, რესპუბლიკის სახლბო არტისტმა დიდო ანთაძემ, თაკი შესავალ სიტყვებში დიდო ანთაძე მოხელე ლაბრაკობს ახლადშექმნილი თეატრის მიღწევებზე.

სიტყვის იღბს თეატრბცოდნე შ. მაქავარიანი. იგი მიმოიხილავს რუსთაველთა სპექტაკლების რეჟისურისა და აქტიორული ოსტატობის საკითხებს, განხილვის რწევებს როსტანის „სირანო დე ბერვერაკი“.

„სირანო დე ბერვერაკი“ დადგმა რუსთავის ახლებშიც თეატრში — ამბობს მომხმუნებელი სახელფასოვნებისა და აკადემიურობის შობამქდილუბას სტოეებს. დამდმელ რეჟისორს, ხელოვნების დამსახურებულ მოღვაწეს გიგა ლორთქიფანიძეს საუცხოოდ უფრძენია ეპოქის სურნელი და ხელშესახეი სტენური საშუალებებით მოუტანია იგი სპექტაკლში. გრძფ დე გომის და პარიზის არისტოკრატის გარეგნულ ბრწყინვალეობასა და შინაგან სიცარიელეში, გასკონელ გვარდიელთა გარეგნულ თავზედობასა და შინაგან კეთილშობილუბაში, რავნის გულბრყვილობაში, გამაღველ გოგონას სიწმინდესა და უშუალობაში თუ კაბუტინის გონებანლუგობაში, როქსანას ბრბა გატყებში და წმინდა სიყვარულში სირანოს კეთილშობილუბასა და მოეტერ სულში. რეჟისორს სოციალურად დიდგერცირებელი ეპოქის შინაგანი წინააღმდეგობა დაუნახავს და ამის სტენური გამოსახვა მაღალი რეჟისორული გემოვნებითა და კარგი ფანტაზიით მოუხერხებია. საუცხოოდ ორგანიზებული ზოზობრივი სტენებითა და ფილიგრანულად დამუშავებული ოცალეული სახეებით სპექტაკლი გვარწმუნებს, რომ ის მაღალი გემოვნებისა და მდიდარი ფანტაზიის მქონე რეჟისორის ხელითაა გამაბრთული.

სპექტაკლის ცენტრში რესპუბლიკის დამსახურებული არტისტის თიარ მეღვინეთუხუცესის სირანი დგას. საოცრად სულმაღალი შინაგანი საყვაროთი და მოსაწონი გამომსახველობით ხერხების სიმდიდრით, დეჩნობი პოეტური გრძნობით იგი მყარებულს ხანაღავს. რარგე მოსაწონია მსახიობი გულვერთან დუ-

ელში, როგორი ნაზია, საყუთარ გრძნობებში დგადნარი, როცა როქსანას ქრისტიანის მაგიერად სიყვარულს ეცდებოდა და არსებოდა საყუთარ ველისქმას გადაშლის; როგორი თავშეკავებული ბოღმით სავსეა, როცა რწმუნდება, რომ გასკონელი გვარდიელბი დე გომის შურისძიების მსხვერპლნი უნდა განდნენ, როგორი მშვიდია მსახიობი საფინალო სტენაში! თ. მეღვინეთუხუცესის სირანი უშუალობით და სკეჩიური მომხმუნველობით ატყუეებს მყარებულს.

ქ. კინიძის როქსანა ზომიერი, თავშეკავებული, მაგრამ სრულქმნილი გამომსახველობითი ხერხებითა დახასიათებული. შესანიშნავია მსახიობი როგორც ლირიკულ სტენებში, ისე გასკონელ გვარდიელთა შირის. ჩუენის აზრით, მეტი სიბოი იყო საკირო ფინაღვრ სტენაში. როქსანას ხომ აქ აეხილა თვარი, ახლა იგრძნო, რომ ქრისტიანს სირანო უყვარდა მხოლოდ, მეორედ ეცლება ხელიდან სიყვარული. არ შეიძლება ამან სულთა და ხორციით არ შეგძრას.

ქრისტიანს მსახიობი მალხაზ გორგილაძე ასრულებს. ახალგაზრდა მსახიობი საოცრად უშუალოა ეა გულწრფელი შეყვარებული ჭაბუკის როლში. მებრბოლი, უხეში მოგომარი ვერ ეგუებდა შემოპარულ გრძნობას, სულწრფელია, მაგრამ საოცრად გულმართალიც არის, როცა რწმუნდება, რომ როქსანას გრძნობა არსებოდა მას არ ეცუთუნის. შ. გორგილაძე არჩვეულბრბობით დაამაყრებელია სპექტაკლის ყუელა მომხმუნეში.

ქ. თოლორაიას გრაფი დე გომი თავშეკავებითა და ზომიერებით გამოირჩევა. მსახიობი კარვად ფლობს კოსტუმს და პოულობს დამაყრებელ ხერხებს შეყვარებულ გრაფის აღტაცების თუ დეარბების გამოსახატვად. თოლორაიას დე გომი სოციალური ჰიმნაფრთხი დახასიათებული სტენური სახეა.

განსაკუთრებით უნდა გამოვეყთ რ. ხობუას რავნო, რ. ხობუა საინტერესო სახასიათო მსახიობია. იგი ყოველთვის პოულობს განსაკუთრებით სიმბტომატურ შტირბებს თავისი გმირის დასახასიათებლად. აქვე, პოეზიით გატაცებული შზარეულის როლში თითოეული მისი მოძრაობა, ყესტრი თუ გამომხდევა გმირის სრულქმნილ სტენურ დახასიათებას ემსახურება.

ერთობ დამაყრებელია და სტენურად მიშზიდველი ლ. შოთაძის ლიზა. შ. სხირტლაძის ვალვერი თითქოს ეპოსოდური როლია, მაგრამ სრული პრიფესიული ენახუსიმგებლობითაა გააზრტებული.

ლონერი, სირანოს მეგობარი, კეთილშობილი და გულწრფელი გვარდიელი შოთამქვადეად წარმოგვიხატა. ს. კოჩიანივილიძე.

თ. მასისრაძის მუშეკერი ამ მსახიობისათვის დამახასიათებელი იშვიათი ტიპობრბობითაა განხორციელებული. თითქოს განსაკუთრებულს არას აკეთებს მსახიობი, მაგრამ მაინც გახსომებთ სახეს, რომლის სტენაზე გამოვეყთაც არგუნა ბედმა.

მანანა მამბლის გამყოდელი გოგონა უბრალოებითა და გულწრფელობით გატყუეებთ. ლეო ანთაძის კაბუტინი საინტერესოდა და აზრიანად ნაკვეთი სახეა.





მწეობრი მიზანსცენები, გვარდელთა თუ პარიზის არისტოკრატია ტიპურად გააზრებული სახეები, შესანიშნავი ფარიაობა (დადგმა შოთა სხირტაძის) ხელს უწყობენ სპექტაკლის საერთო წარმატებას.

„სირანო დე ბერევირის“ შემდეგ შ. მუჰაბრიაინი მითიზილავს ვ. კარსტილივის „ასი წლის შემდეგ“, რომელიც დეკარტისტებისადმი მიძღვნილია. იგი აღნიშნავს, რომ რეჟისორმა მომხიბლავი პოეტური ფორმა მისცა სპექტაკლს. ყოველ სცენაში საოცარი ზომიერება და მაღალი მხატვრული გემოვნება გამოამჟღავნა. შემდეგ ერცლად არჩევი აქტიორთა თამაშს. უშუალოებით არის დახასიათებული მიხეილ სერგის ძე გორინი, რიკალი უჩანეიშვილის მიერ. იგი პოეტური ვატუები და სცენური ლაყონურიობით ძერწავს თავის გმირს.

გაღწერვლობით არის აღბეჭდილი მაღაზ გორგილაძის თვადი პეტრე ოლენკო. რარიც უშუალოა იგი სატრფოსთან, როგორც გაოცებულია მეფის გულწილობით გამოძიებისას და როგორც ფარხმალდაყრული მეფის მხაკვრობის გამო ამ სცენის ფინალიში!

ნოღარ მგალობლიშვილის კონდრატო რილევიე პოეტია და პოეტურად მეოცნებე რეჟოლევიაზე. რამდენადაც სუსტია და ნაზი იგი გარეგნულად, იმდენად მტკიულა თავის რწმენაში.

პროფესორი მიხეილ მიხეილის ძე სპერანსკი მსახიობ ვიზო სხარაძელის შესრულებით ქეშპარტიკად ისტატური სინატიფით ნაკვეთი სახეა. უტკერი მის და რწმუნდებით, რომ სცენური სახის გამოსახვას ვერც გამოალებთ რასმე და ვერც ვერას მიუმატებთ. მსახიობს მერად სწორი რეაქციები აქვს და პართული დამოკიდებულება პარტნიორთან.

ზაზა ლუბანიძემ მოხუცი ქალის როლში ყოველგვარ მოლოდინს დაეაჟარბა. მის არა აქვს არც ერთი ზედმეტი ექსტი, არც ერთი ზედმეტი პრეზანობა ან უხერხული მახვილი მეტყველებაში.

შედარებით ფერმკრალია ელიზ ჩერმესოვა მერი ლომიძის შესრულებით. საჭირო იყო მერი გნება და მერი მგზნებარება, განსაკუთრებით დაიკთხვის სცენაში.

პოლონურქივი როსტოპოვი განსაკუთრებულად მდგარი სახეა პეისაში. ცხოვრებისეულ ბოლომდე ლოგეკური დასაბუთება მის ქცევებს თითონ ავტორმა ვერ მისცა, ამიტომ მსახიობ ს. გოგინაიშვილის შესრულებაში თითქოს ყველაფერი რიგზეა, მაგრამ სცენურ სახეს ცხოვრებისეული ლოგეკა აკლია.

თ. მისურაძე აქაც, ამ თითქოს ეპოპოდურ როლში უღარესად ინდივიდუალურია, უღარესად ტიპური.

ოტია იოსელიანის პეისა „მოგადობებით მწვერვალი“ პირველად რუსთავის თეატრის სცენაზე დაიდგა. იგი თანამედროვე ახალგაზრდობის მჩქეფარე ცხოვრების ასახვას ისახავს მიზნად. სიუჟეტი თითქოს უბრალოა. ახალგაზრდებს სურთ დალაშქრონ კავკასიონის ერთ-ერთი მიუვალი მწვერვალი, მეოთხე წელია ამოღიან სვანეთში, ბანაკებიან მთის ძირში, მაგრამ უამინდობა არ აძლევთ მწვერვლის დალაშქრის საშუალებას. ისინი ბექნუს ვოლდების, როგორც იმდის, რომელსაც შეუძლია ბებერი, მაგრამ მგლის მუხლით გაუძღდეს ახალგაზრდებს მთის ბილიკზე. ამ მოლოდინში აეთოს ახალგაზრდა ქალაქელი გოგონა დალი

ამოკავს შთაში. გარეგნულ კონფლიქტში შესანიშნავადაა ასახული თუ როგორ ჩაიხვედვენ ახალგაზრდალი ერთმანეთის სულში, როგორ მოიხიბლებიან ამ სულსა სიმშვენიერით. და ბოლოს ბექნუს მოდის, გამოდარების იმედო მოაქვს და დილით მწვერვალისაკენ წაყვანას პირდება, ფინალიში დილის ამოშავალი მზე ანათებს თიხი ჰაბუკი მოაშვლელის სილუეტს.

სიუჟეტი რთული არ არის, მაგრამ უღარესად აღამაანურად არის მოტანილი იდეალისადმი დაუცხრობელი ლტოლვის კეთილშობილი იდეა, სწორად არის დანახული ჩვენი ახალგაზრდობის კეთილშობილი თვისებები.

როსტომი (ირ. უჩანეიშვილი) და ბონდო (გ. ბერიკაშვილი) შესანიშნავ დუეტს ქმნიან, მსახიობ ირ. უჩანეიშვილის ეოკალური და მუსიკალური მოხაყებები შესანიშნავად გამოუყენებია რეჟისორს. მშვენიერია როსტომისა და ბონდოს სახუმარო დუეტი, რომელსაც შემდეგ ავტორი და რეჟისორი სიუჟეტის აზრობრივი განვითარებისთვისაც იყენებენ.

ზაზა ლუბანიძე (დალი) გზიბლავით თავისი უბრალოებით და სახის მართებულად გააზრებით. მართლაც, ეს თამაში გოგონა, გარეგნულად რომ ქარაფშუტა ქალიშვილის შთაბეჭდილებას ტოვებს, თანდათან ღრმა და ლაპაზი აღამაიანური სულით ვლინდება.

სირტირესო სახეა მაღაზ გორგილაძის ავთო. მხარული, ლალი, მგზნებარე მეოცნებე ჰაბუკი, იმავე, დროს, პრაქტიკული აღამაინე არის.

ს. სხირტაძე ტაქტიით და ზომიერებით ხატავს სვანი ჰაბუკის ვაჟს სახეს. გულუბრი მასპინძელი, იმავე დროს, მამა-პაპათა კეთილი ტრადიციის მტკიცე დამცველი მოსჩინა ს. სხირტაძის შესრულებაში.

თ. თოლორაიას ბექნუ, ვარდაქმილი სვანეთის სარქალი, ახალ იდეებს ნაზიარები ჰარმავი მოხუცი ერთობ დამაჯერებელია, ლაყონური და ძუნწი გამომსახველობით ხერხებით.

რეჟისორ გია ანთაქეს სწორად გაუგია ავტორის იდეა და სცენური სახეები. განსაკუთრებით ლამაზა და იდეურად გამართლებული ფინალი.

კამათში პირველი ებეება მაღ. მრეგლიშვილი. იკვამბობს:

— რეცენზენტები სიმოვნებით აღნიშნავენ რუსთავის სახელმწიფო დრამატული თეატრის გასტროლებს წარმატებით დამთავრებას თბილისში. მე მაისი ფუნქციებში ვერ შეიკრები, მინდა გამოთქვა ჩემი სისხარული იმის გამო, რომ ვნახე კიდევ ერთი ახალი ქართული თეატრი, ვნახე, რომ შეგვემატა კიდევ ერთი ჩინებული თეატრალური კოლექტივი.

შემდეგ ორატორი ლაპარაკობს რუსთაველი მსახიობების მეტყველების ღირსება-ნაკლებობებზე. იგი სვამს კითხვებს — შეიძლება თუ არა ახალი თეატრალური ფორმების ძიებამ გავლენა იქონიოს სასცენო მეტყველების რაობაზე და ახლებური სახით წარმოვიდგინოს იგი? და დასძენს, რომ შემდგომი არიან ის თეორეტიკოსები, რომლებიც ამცირებენ თეატრში მეტყველების რაობის როლს.

მაღ. მრეგლიშვილი განიხილავს ო. მეღვინეთუხუცესისა და ირ. უჩანეიშვილის მეტყველებას („ასი წლის შემდეგ“) და ამბობს, რომ ოთარ მეღვინეთუხუცესი უპასუხისმგებლოდ ეკიდება ლიტერატურულ კლასს, იომ მისი სასცენო მეტყველებაში აღრუულია მთიულუ-

# „ბ ე ი ე ლ ე რ ა“

## ზ. ფალიაშვილის სახ. ოპერისა და ბალეტის თეატრის კრემიერა

ლ. მინქელის ბალეტის „ზაიადერა“ შექმნა მე-19 საუკუნის რუსული ბალეტის კლასიკოსის მარტო პეტროვის სახელობა დაეკავშირებული. დღიდან შექმნილი ბალეტი დიდი პოპულარობით სარგებლობდა და სარგებლობს, მისდამი ინტერესი არ განელებულა. ნიკოის ფსიქოლოგიურად და ქორეოგრაფიულად რთული პარტია ბევრ გამოჩენილ ბალერინას იზიდავდა. ბალეტი კარგა ხანს მიდიოდა ძველი რედაქციით, ვიდრე 1941 წ. ვ. ჰაბუტიანმა არ შექმნა მხედარმოავერის სოლორის პარტიის თავისებური რედაქცია (იმ დროს ჰაბუტიანი ლენინგრადის საბალეტო დასში მინაწილებდა). ძველი დადგმის მომსწრენი ვაიაც სოლორის პარტიის განუზომელმა საცეკვაო დიამონმა. ეს ვაიაცა ჰაბუტიანის უტყუარმა ქორეოგრაფიულმა აღიარებდა.

ამჟამად თბილისელმა მაყურებელმა „ზაიადერა“ ჰაბუტიანისეული რედაქციით იხილა. ბალეტმეისტერი გვერდს არ უვლის ბალეტის ტრადიციულ გადაწყვეტას, მაგრამ მისი ნოვატორული ხელი ყოველ სცენაში შეიჭრა. მოქმედება მადრიას, მიხანსცენები — დინამიური, ცეკვების სიუჟე — თვალის მოშორელი. ზაიადერა ცეკვა ნატიფი და მოხვედნილია, აღმოსავლური ნებიერი სიზანტე ინდოელთა პლასტიკის თავისებურებაზე მიგვანიშნებს. მათი ჭკუების მოძრაობა სცენაზე კოცხალ ორნამენტს ქმნის და ქურუმთა სტატიკურ პოზებს ავარაყებს. ნიკია გამოდის, დინჯი ზარზეიმური პლასტიკით, აქვე იწყება ნიკიას ხასიათის ექსპოზიცია, ბრამინთან ქორეოგრაფიულ დუეტში გამოიხდება მისი სიმტკიცე და შეუპოვობა, სოლორთან — თავდაწყებული შეყვარებული ლირიკული არის და ექსტაზურიც. უკვე სათელი ხდება ზაიადერას წრფელი ბუნება. ნიკიას შეხვედრა-პაემანი რაყას ქალიშვილ გამზათისთან ასრულებს მისი რთული სცენური ხასიათის ექსპოზიცია. ზაიადერა არც თავის სიყვარულს გაჰყიდის, არც თავის ადამიანურ ღირსე-

ბა შეილახავს. გამზათისა და სოლორის ნიშნობის დღესასწაულზე ნიკიას რიტუალურ ცეკვით დამარბული მონოლოგი-აღსარება მელოდრამის ფარგლებს სცილდება და მაღალი დრამატული ხელოვნების სიმძლავრე ადის.

ნიკიას პარტიის ქორეოგრაფიული კომპოზიცია იმდენად სახიერია, განსაკუთრებით მეორე მოქმედებაში, რომ ბალერინას, რომელსაც არ შესწევს ძალა შინაგანი ექსპრესიით გააცოცხლოს ეს ოლეუმი და მათი პოეტური გაგება გამოავლინოს, ეს კომპოზიცია უძრავი გეომეტრიული ხაზებად გადაექვევა. ამიტომ, რომ ნიკიას როლის შესრულებისას ბევრი გამოჩენილი ბალერინა დამარცხებულია.

ჰაბუტიანი შეეცადა ხარვეზი ნიკიასა და დანარჩენ პერსონაჟებს შორის ნაკლებად შესამჩნევი ყოფილიყო. ამ მიზნით მან მოხერხებულად გაზარდა დანარჩენი ქორეოგრაფიული პარტიები, გაამდიდრა მათი წარმოსახვითი მხარეები სახეობით მნიშვნელობის ილუზიებით.

ბალეტმეისტერმა შთამბეჭდავი ვახადა ბრამინის ეპიზოდური პარტია. შურისძიებით აესილი ბრამინი სამსხვერპლოზე მოგვიგზავნავს ალავით აღინთება, წყევალ-კრულვას უგზავნის გულში მაღალი სიყვარულის შემბლაღეს და სამსხვერპლოს დაეშობა.

ვ. ჰაბუტიანმა გაამდიდრა გამზათის ქორეოგრაფია ბრწყინვალე, ხასხასა ილუზიებით და შეუქმნა განწყობათა მთელი ვამა. გამოკეთილად არიან წარმოდგენილი ბალეტის სხვა დანარჩენი პერსონაჟებიც.

ვ. ჰაბუტიანმა უხვი ფერებით აკაიფა სადღესასწაულო მოედანი, სხვადასხვა ხასიათისა და ტემპის ცეკვები ერთმანეთს შეაჯიბრა, მოზღვევებული ხალხი შეტრელებული სამოსში აღმოსავლურ სახალხო დღესასწაულს წაავადა.

ქლასიკურ ქორეოგრაფიაში შედევრია: ვილისების აქტი ბალეტ „თიზელში“, გედების აქტი „გედების

რი, იმერული, კახური და ლიტერატურული კილოება, რაც არასასიამოვნო შთაბეჭდილებას ტოვებს. ამავე დროს მალ. მრეველიშვილი მიუთითებს იმ ფაქტზე, რომ ი. მეღვიწხეშვილის მეტყველების ერთი მისაბამი თვისება გააჩნია. იგი მკაფიოა. მიუხედავად იმისა, რომ მსახიობის მეტყველებას საკმაოდ შიშვე ტემპი ახასიათებს, არც ერთ ფრაზას, არც ერთ ბგერას არ კარგავს.

ირ. უჩანეიშვილი—განაგრძობს ორატორი—ხშირად ზედმეტად ძაბავს ხმას, რომ მის მშვენიერი ტემბრის ხმას გავიადებული დაძაბვა არის მატებს.

იგი კრიტიკულად აფასებს აგრეთვე მ. გორგილაძის სცენურ მეტყველებასაც.

რუსთავეის თეატრის სპექტაკლების მხატვრული გაფორმების საკითხებზე ილაპარაკე თეატრალურმა მხატვარმა კ. კუჟულაძემ.

კ. კუჟულაძე დაწერილებით, ცალ-ცალკე განიხილავს მხატვარ მ. მალაზონის მიერ „სირან დე ბრეგერაის“ მხატვრული გაფორმების პრინციპებს, გრცლად ჩერდება კონსტრუქციის საკითხზე და ამბობს,

რომ ცალკე კონსტრუქციები კარგია, იგი ერთ გამაშია შესრულებული, მაგრამ მიანია, რომ მთლიანობაში იგრძნობა ეკლექტიზმი. რადგან ამ სპექტაკლში მხატვარი კონსტრუქციით ლაპარაკობს და არა აქტივტეტურთა, სტილის ერთიანობისათვის მეტი ყურადღება უნდა მიუქციათ.

შემდეგ კ. კუჟულაძე ლაპარაკობს იგივე მ. მალაზონის მხატვრობაზე სპექტაკლში „ასი წლის შემდეგ“ და მაღალ შეფასებას აძლევს მას. იგი ამბობს, რომ ამ სპექტაკლში იგრძნობა დიდი უბრალოება და არა გაუბრალოება. კ. კუჟულაძე დადებით შეფასებას აძლევს კონსტრუქციას და აფეხს. იგი დადებითად აფასებს აგრეთვე მხატვარ კ. ივანტავის ნამუშევარს სპექტაკლში „მოვადლებული მწვერვალი“.

კამათში მონაწილეობა მიიღეს ანტ. წულუციძემ, ვ. ქართველიშვილმა, ვ. კანდელაკმა, ს. ზაქარაიძემ, გ. ხუხუშვილმა, თ. სუმბათაშვილმა და ლ. მელიორავამ.

დასასრულს სიტყვით გამოვიდა რუსთავეის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი გ. ლორთქიფანიძე.



ტაში" და ანრდილების სამეფო „ბაიადრაში“, ამ კომპოზიციებში დროთა ვითარებამ დახვეწა ფორმები, არ არის არც ერთი ზედმეტი შტრიხი. აქ მეფობს კლასიკური სილამაზე, ხაზების, ფორმების იშვიათი სუხუსტე და ნახაზის სიწმინდე.

ანრდილთა სამეფოში ნიკიას ცეკვა გამკირვალეა, ჩამქრალია ვნებათა დღევა. მწველი, ვაფიციულად წმინდად გამოკვეთილი ხაზები პაეროვანია.

ასეთია ფხალის სავალდებულო ინტერპრეტაცია, მაგრამ მსახიობის ინდივიდუალბა თავისებურად არცებს დაკანონებულ სამეგისტრულებლო ტრადიციებს.

ეს დაღვა ე. ვაბუჯიანმა ახალგაზრდებს დაუთმო. პრემიერა 3 დღეს მიიღო და ყოველ სპექტაკლზე ასლი შემსრულებლები გამოდიოდნენ.

აქედან ადვილად შეიძლება დავასკვნათ, თუ რაოდენ დიდ ყურადღებას აქცევენ ჩვენი დასის ხელმძღვანელი აქტიორთა ძალების მრავალმხრივ განვითარებას. ნ. არომელიძე ნიკიას როლისათვის. კარგ ვარგნული მონაცემები და ბუნებრივი გრაციულობა აქვს, მაგრამ პარტია კერ კიდევ ვერ დაუძლეია. ვ. აბულაძე (სოლოლო) კი თვალსაჩინო მონაცემების დამწყები მოცუვაევი. იგი დაჩილოვებულა განსაკუთრებული სკესურთი მიმზიდველობით, ქორეოგრაფიული პარტია კარგად აქვს დაძლეული. იგი რომანტიკულ ელფერს მატებს თავის პერსონაჟს.

სულ ახლებურად გაიხსნა ლ. მითაიშვილის აქტიორული ბუნება ნიკიას როლში. ადრე მას თავის გმირებში ერთი რომელიმე თემის გამოყოფა ახასიათებდა. ნაკლებ ყურადღებას უთმობდა ხასიათის სხვადასხვა მხარეებს. ამ პარტიაში ნიკიას ბუნება უესანიშნავად ივტრობა და ძალიან დეტალურად დააძწყევა. იგი ტექნიკურად სრულყოფილად ცეკვაე. შეიძლება თქვათ, რომ მითაიშვილის ნიკია სრულიად ახალი ფურცელია მსახიობის შემოქმედებაში.

ბ. მონავარდისაშვილის (სოლორი) პლასტიკა დინამიურია. სოლორის ბუნება მსახიობმა თავის ინდივიდუალურ ხასიათს მიუყენა. ჭიჭური, ტემპერამენტური და ძარღვიანი მისი ცეკვა. ხელების პლასტიკა მონადირის მუვილდისრის მომზუნვის მონახაზში აქვს გადამწყვეტილი. ტრიალის დროს საინტერესო სილუეტს ქმნის.

ვ. ვინაძეს თავისი ოსტატობა საშუალებას აძლევს ყოველ აქტში თანმიმდევრულად გახსნას ნიკიას სახე. მეორე აქტში უფრო ლირიკულია, ანრდილთა სამეფოში კი — პაეროვანი და მგობრობიარე.

ზ. ამონაშვილის სოლორმა სივრცე დაიპყრო, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით. სწრაფი ციბრეტები, მჩატე ტურები პაერში განსაკუთრებული დინამიურობის შთაბეჭდილებას ახდენს. მაგრამ მსახიობი ისე გაეგრეთ ილეთები, რომ სახეს ნაკლები ყურადღება მიაპყრო.

ვაბუჯიანის ტენდენცია, — გზა მისცეს ყოველი დამწყები მოცეკვაევის ინდივიდუალობას, მის ყოველ ახალ ნამუშევარს, გამართლებულია. ბაღევი „ბაიადერა“ სამუშაო ბალეტია, ამ ქორეოგრაფიულ მსახულაზე მრავალი ნიჭი ვაიფურჩქნება, პროფესიონალიზმს შეიძენს, მაყარებლის ინტერესი მისადმი არ ვანელდებ, აქ ის იღავეს სხვადასხვა მსახიობთ, რომელთა ნიჭიც ასე ლაღა ვლინდება.

## მომღერლის სლაეო

ბავშვობიდანვე გატაცული უყვარდა სიმღერა და ცეკვა-თამაში. თუ მირზანში სადმე ტაშ-ფანდურა გაიზარებოდა, პირველი პატარა თამარი შეიჭრებოდა წრეში და ლაღად ჩამოუვლებდა. მის ოჯახში ხშირად ვაიონანდელი ძველებური ქართული ხალხური სიმღერების საამო მანგებს: მათთან ხომ უხვბო მღეროდა! ამიტომ ბუნებრივია, რომ როგორც კი წამოჩიტდა თამარი, მის ოცნებად კონსერვატორია იქცა.

ზარიით წკრაილა ხმა ჰქონდა თამარს. ხალხის ნიჭით დაჯილოვებული გოგონა კონსერვატორიაშიც მიიღეს პროფესორ ო. შუღღინას კლასში, თუცა მას არავითარი მუსიკალური განათლება არ ჰქონდა. განოცდაზე მშენის იმღერა უბნული და თეორის არაა. მამონ კონსერვატორიაში მოღვაწეობდნენ იმ დროის გამოჩენილი ადამიანები: ზ. ფალიაშვილი, დ. არაქიშვილი, ვრონსკი, ა. ფაღავა, შ. ალხაბაძე, დ. შვედცივი და სხვები. მათი მადლიანი ხელი თ. ლაბიაშვილსაც შეეხო.

კონსერვატორიაში სწავლისას თ. ლაბიაშვილი მხირად გამოვლიდა სტუდენტთა კონცერტებზე, წარსებით მღეროდა პროფესორ ა. ფაღავას საოპერო სტუდიანია. 1915 წელს ახალგაზრდა მომღერალმა მონაწილეობა მიიღო მუსიკოს-შემსრულებელთა საქავიერო კონსერტსში, ხოლო 1916 წელს საოპერო თეატრის სცენაზე პირველად იმღერა ეთერის პარტია ზ. ფალიაშვილის „ახესლომ და ეთერში“; სულ მალე თ. ლაბიაშვილი მეილი ენერგიით ჩაება საოპერო თეატრის ცხოვრებაში. ეთერის პარტიას მარო მყოფა „ღაღასში“. შემდეგ ლატავრა — „ლატავრაში“, დ. არაქიშვილის „სოთა რუსთაველიში“; იგი ნესტანისა და ნინოს პარტიებს ასრულებდა, ხოლო კ. ანდრიაშვილის „კაკო ყაჩაღში“ — მზიას. მაყურებელი კარგად ახსნეს მისი მარევა „მეფის საცოლემში“, მარგარიტა — „ფაუსტში“, მიქელა — „კარმენში“ და მრავალი სხვა. იგი მონაწილეა ქართული ხელოვნებისა და ლიტერატურის პირველი დეკადისა მოსკოვში, სამამულო ომის წლებში უამრავ საშეფო კონცერტებში მიუღია მონაწილეობა და საერთოდ თავისი უსაზღვრო სიყვარულით ვაკალური ხელოვნებისათვის ყოველთვის სამაგალითო იყო. მისი დეწული ქართული ეროვნული საოპერო მუსიკის განვითარების დარგში სათანადო შეფასა მთავრობამ და 1915 წელს რესპუბლიკის დამსახურებული არტისტის წოდება მიანიჭა.

ივნიის თვეში რესპუბლიკის დამსახურებულ არტისტს თ. ლაბიაშვილს საქართველოს ხელოვნების მუშაკთა სახლში საცენო მოღვაწეობის ში წლისთავი გადაუხადეს. იუბილარს მიესალმნენ მეგობრები ეგატირიდან — სახალხო არტისტები: ბ. კრავიშვილი, მ. ყვარელაშვილი, ნ. ხარაძე, შ. ვაშლიმიძე, წარმოადგენდნენ სხვადასხვა ორგანიზაციებიდან, მოზოლური სიღინდელად და სხვები. საღამო-კონცერტში სხვა მსახიობებთან ერთად მონაწილეობა მიიღო იუბილარმაც.



## უშანგის ხმა

ოთარ მამფორია

ჩამოხვეულა ვარსკვლავების ჰერი,  
ჩადგა ტაშის აქოჩრილი ტალღა.  
მონოლოგით ჩახლეჩილი ყელი,  
ლერწამივით გაბზარული ახლა.  
ღია დარჩა კულისების კარი,  
ლურჯ მანტიას ქარი აძრობს მძივებს.  
და დუმილიც დადუმდება წამით,  
მგლოვიარე თავს ჩაჰკიდებს მძიმედ.  
თმა ჩამოშლილ ჭირისუფალ ფარდას  
გკლავზე უწევს გულწასული როლი.  
და ირხევა, ცისფერი ნისლის დარად,  
დარდისა და პაპიროსის ბოლი.  
მოგონება აბედივით იწვის,  
მწველი ფიქრი სულში ცრემლებს აკმევს.  
ბრუნავს ფირი, უშანგის ხმა ისმის,  
აქრიალებთ ძაძით მოსილ სარკმლებს.  
ოუმცა თვიჯონ უკვე აღარ ბორგავს,  
ლომს ტორები დაუწყვია გულზე.  
მკედარი პრინცი მამის აჩრდილს მოჰგავს  
და კუბოში საკუთარ ხმას უსმენს.

ეს ხმა ისე განწირულად შფოთავს,  
სამყაროსთან განშორებას ნანობს.  
არ წახვიდე, — ეხვეწება ყოფნა,  
არყოფნა კი ექაჩება — წამო.  
ეს რა ზეცა დაუხატავს ოცხელს,  
ღია საფლავს რა ფერები რთავენ.  
ეის კარნახობს დავიწყებულ ლოცვებს,  
